

ფასეულობა, რაც იწვევს გაურკვევლობას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს რეაგირებას და შესაბამის ცვლილებებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში, რადგანაც გადასახადის სწორად დაგეგმვაზე და შემდეგ მის ბიუჯეტში მობილი ხირებაზე დამოკიდებული იმ პროექტების დაფინანსება, რომელიც ასე აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ნორმალურად განვითარებისათვის. თუ გადასახადის გადამხდელის უფლებები მაქსიმალურად არ იქნება დაცული, მაშინ გადასახადის გადამხდელი ცვლობს გადასახადების თავის არიდების მიზნით „ჩრდილში“ გადაინაცვლოს და უფლებების დარღვევის კომპენსაციისათვის იმაზე მეტად ნაკლები თანხები შეიტანონ ბიუჯეტში ვიღრე ეკუთვნის გადამხდელს. უცხოეთის მრავალ ქვეანაში მოქმედ საგადასახადო კოდექსში, რომელთა დებალურ განხილვას აქ ადარ შევუდგენით, შეტანილი ცვლილებების უმრავლესობა შეეხება გადასახადების გადამხდელების უფლებების დაცვას. საქართველოს საგადასახადო კოდექსი კატეგორიულად კრძალავს ინდივიდუალურ მიღებებს და შედავათების დაწევებას ამა თუ იმ გადამხდელების მიმართ, კანონის წინაშე კვლა თანაბარია. საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს გადასახადის გადახდის საყოველოთო ვალდებულებას და კველა გადასახადის გადამხდელის თანასწორობას საგადასახადო კანონმდებლობის წინაშე. დაუშვებელია დამატებითი გადასახადების, ასევე გადასახადების მაღალი განაკვეთების დადგენი საკუთრების ფორმის და სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ყველანაირი გა-

დასახადი, რომელიც დაწევებულია საქართველოს პარლამენტის მიერ არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციისთან, რადგანაც სწორედ საქართველოს კონსტიტუციია გადასახადის გადამხდელის და მესაქუთრის უფლებების დაცვის გარანტი.

მოქმედი საგადასახადო კოდექსი, რომელიც მიღებული იქნა სახალი ხელისუფლების მოსკლის შემდეგ და ძალაშია 2005 წლის 1 იანვრიდან, ძველ საგადასახადო კოდექსთან შედარებით იმყდისმომცემი და ეფექტურია, თვალნათლივად წარმოდგენილი გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები და მოვალეობები, რომელიც დიდად განსხვავდება წინათ მოქმედი საგადასახადო კოდექსისგან გამჭვირვალობის და აღქმადობის მხვრივ. ძველი საგადასახადო კოდექსით, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველად 1997 წლის ივნისში შემოდგებული იყო 20-ზე მეტი გადასახადი, რაც არა მარტო გადასახადების გადამხდელებში, არამედ ხშირ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს თანამშრომელებშიც წარმოშობდა რიგ გაურკვევლობებს.

იმედი ვიქონიოთ, რომ საგადასახადო კოდექსი კიდევ უფრო ლიბერალური გახდება გადასახადის გადამხდელებისათვის, რაც საერთო ჯამში გადამხდელის უფლებების დაცვის გაუზრდებების შეუწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო პარმონიული და ბიუჯეტის ზრდაზე მიზნით განვითარებული გახდება, რაც საერთო ჯამში ჩვენ ქვეყანაში ინვენიციის გადამხდელის კიდევ უფრო შემონიშვნებას შეუწყობს ხელს.

### დიტერატურა და ტერმები:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
2. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგერა. თბ. 2000.
3. ჩიხლაძე ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. ქუთაისი. 2004.

საქართველოს მოსახლეობის სესობრივ-ასაკობრივი  
სტრუქტურისა და გენდერული თანასწორობის  
სტატისტიკა

ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და  
მისი თანმდევი ძირული ეკონომიკური და პო-  
ლიტიკური გარდაქმნების პერიოდში განსაკუთ-  
რებით იზრდება მოსახლეობის, როგორც ძირი-  
თაღი საწარმოო ძალისა და წარმოებული მა-  
ჩერიალური დოკუმენტების მომხმარებლის როლი  
და მნიშვნელობა. ამიტომ მოსახლეობის ყოველ-  
მხრივი სტატისტიკური შესწავლა და ანალიზი  
წარმოადგენს იმ რეალურ ფუნდამენტს, რომელ-  
საც უნდა ეყრდნობოდეს ქვეყნის ეკონომიკური  
და სოციალური განვითარების ძირითადი საპ-  
როგნოზო გეგმები და პარამეტრები. ასეთი გა-  
ანგარიშების გარეშე წარმოუდგენელია ეფექ-  
ტური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შე-  
მუშავება და განხორციელება.

საზოგადოების განვითრებასთან ერთად  
სულ უფრო აქტიურდება დემოგრაფიული ფაქტორებისადმი ყურადღება. ეს განსაკუთრებით იყრძნობა მაშინ, როცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში თავს იჩენს არასასურველი დისკროპორციები. ხალხთმოსახლეობაში მიმდინარე მოვლენები და პროცესები გამუდმებით იცვლებიან დროსა და სივრცეში. გამომდინარე აქტიურ სტატისტიკის წინაშე დგას მეტად როცველი ამოცანა, რათა შექმნას ხალხთმოსახლეობის პროცესთა დარეგულირების ისეთი მექანიზმი, რომლის საფუძველზე შემუშავებული და განხორციელებული დემოგრაფიული პოლიტიკა ხელს შეუწყობს ქვეყნის ნორმალურ წინასახლებას.

საბაზო ეკონომიკის რთულ დაბირინთებაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებისა და ორიენტირების სწორად განხსაზღვრისათვის უადრესად მნიშვნელოვანია მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლა, გინაიდან იგი არსებით გავლენას ახდენს მოსახლეობის კვლავწარმოებაზე და შრომითი რესურსების ფორმირებაზე.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაგობრივ სტრუქტურაზე მსჯელობისას, უკრადლება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტორებს რომლებიც გავლენას ახდენენ მის ფორმირებაზე. ასეთი უამრავი ფაქტორი არსებობს, მაგრამ მათგან შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი: შობადობა, მოკვდაობის დონეთა განსხვავება ასაკისა და სქესის მიხედვით და მიგრაცია.

გადაწყვეტის მიზნით მოსახლეობას ყოფებ შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებად: სკოლამდევლი ასაკი, სკოლის ასაკი, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, საპენსიონო ასაკის, ხანდაზმულები და ა. შ.

2006 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა შემდგები თანაფარდობით ხასიათდებოდა: მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 17,9 პროცენტის შეადგენდა შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის ადამიანები, ანუ ბავშვები და მოზარდები, 68,7 პროცენტს-შრომისუნარიანი ასაკის, ხოლო 13,4 პროცენტს-შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის ადამიანები. ასეთი ასაკობრივი სტრუქტურა, გარკვეულ წილად დადგებითია როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, სადაც შრომის უნარიან ასაკზე უმცროსი და შრომის უნარიან ასაკზე უფროსი ასაკის მოსახლეობა დომინირებს.

საქართველოს მოსახლეობის ასაკობ-  
რივ სტრუქტურაზე ნათელ წარმოდგე-  
ნას გვიქმნის ცხრილი №1, საიდანაც ჩანს,  
რომ 2002 წლის აღწერის შემდგომ წლებ-  
ში, მობადობის შემცირების შედეგად  
კუპეტორად არის შემცირებული 0,4 წლის  
საკის ბავშვების რიცხვნობა და აღნიშ-  
ული მაჩვენებელი 243,6 ათას კაცს, ანუ  
მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის 5,6  
როცენტის შეადგენდა. 2006 წლისათვის  
ისი ხვდებოთი წილი 5,3%-მდე დაეცა.  
და 234,7 ათასი კაცი შეადგინა. მოსახლეობის  
აგროტო რიცხოვნობაში დაბალი ასაკობრივი  
ასუფების ხვდებოთი წილის ოანდათანობით შემ-  
ცირებაში თავისი შედეგი გამოიდო, მოხდა მო-  
სახლეობის ე. წ. „დაბერება“. თუ 2002 წლის  
აღწერით 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახ-  
ლეობა საქართველოს მოსახლეობის საერთო  
იცხოვნობაში 12,7 პროცენტს შეადგენდა, 2006  
ლის პირველი იანვრის მდგრომარეობით შესა-  
მისმა მაჩვენებელია 13,4 პროცენტს მოატარ-

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დაწირთვის კოეფიციენტიმა ანუ შრომისუნარიანზე აძალი და შრომისუნარიანზე მაღალი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის შეპირისპირებამ რომისუნარიანი ასაკის მოსახლეობასთან 2002 წლისათვის შეადგინა 0,56, ხოლო 2006 წლისათვის 0,45. შრომისუნარიანი

## ცხრილი №1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის სტრუქტურა  
ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების შიხედვით  
(წლის დასაწყისისათვის, ათასი კაცი)

წლები ასაკობრივი ჯგუფები	1989	2002	2003	2004	2005	2006
<b>მთელი მოსახლეობა</b>	<b>5400,8</b>	<b>4371,5</b>	<b>4342,6</b>	<b>4315,2</b>	<b>4321,5</b>	<b>4401,3</b>
<b>მათ შორის ასაგში:</b>						
0-4	465,7	243,5	241,2	240,7	237,0	234,7
5-9	440,7	302,3	291,3	252,3	247,2	250,2
10-14	432,1	370,1	350,2	310,7	307,3	301,9
15-19	419,3	357,0	351,0	349,2	343,7	340,6
20-24	413,7	327,4	346,0	367,5	351,2	352,6
25-29	467,6	311,2	326,0	339,1	356,2	372,3
30-34	416,8	300,6	298,6	292,7	303,2	320,7
35-39	362,4	323,4	302,5	296,5	285,2	291,7
40-44	261,0	335,5	329,1	325,9	328,6	332,1
45-49	296,6	287,7	299,3	323,4	324,5	329,5
50-54	345,6	247,4	268,4	282,8	301,8	304,9
55-59	303,9	148,8	152,1	158,5	167,3	197,9
60-64	297,4	257,8	221,2	203,9	193,5	184,2
65-69	160,6	202,3	199,3	197,4	187,7	183,6
70 და მეტი ასაკის	317,4	356,2	366,4	374,6	387,3	404,3
<b>მოსახლეობის მთელი რიცხოვნობიდან:</b>						
შრომისუნარიანზე უმცროსი	1423,0	915,9	886,2	803,7	791,5	786,8
შრომისუნარიანი	3039,3	2796,8	2825,4	2939,5	2955,0	3026,6
შრომისუნარიანზე უფროსი	938,5	656,3	631,0	572,0	575,0	587,9

წერილი: საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები ([www.statistics.ge](http://www.statistics.ge))

მოსახლეობის დატვირთვის კოეფიციენტის შემცირება ძირითადად გამოწვეულია მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მოზარდი თაობის ხვედრითი წილის შემცირებით. ასევე გაუარესდა მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობის მაჩვენებლებიც. 2002 წლის სრულიად საქართველოს მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით ყოველ ათას მამაკაცზე 1120 ქალი მოდის, მაშინ როდესაც 1989 წელს აღწერის მონაცემებით ანალოგიური მაჩვენებელი 1100-ს უტოლდებოდა, (იხ. ცხრილი №2).

ამჟამად საქართველოში მაღალი სიკვდილიანობის გამო ქალების რიცხვი კოველთვის აჭარბებს მამაკაცების რიცხვს. ქალთა სიკოცელის საშუალო ხაზღმდლივობაც გაცილებით მაღალია, ვიდრე მამაკაცთა

(იხ. ცხრილი №3).

განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაც. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით სოფლის მოსახლეობაში მაღალია შობადობის დონე, რაც განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა განათლების მაღალი დონის მქონეობა დამოხატული რეგულირება ფერტილობის დონისადმი და ეროვნული შემადგენლობის არაერთგვაროვნებით. საქალაქო დასახლებებში ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი მნიშვნელოვნად ზარდლებია, ვიდრე სოფელში. კერძოდ, 0-9 წლის ასაკობრივი ჯგუფის წელი, შესაბამისად, 11,8 და 13,2 პროცენტს შეადგენს, ხოლო 10-19 წლის -16,7 და 16,5 პროცენტს. სოფელთან შედარებით, ქალაქად მეტია ახალ-

**ცხრილი №2**

**ქალების რიცხვი საქართველოში ყოველ ათას მამაკაცზე  
აღწერის მონაცემების მიხედვით.**

წლები	მოსახლეობა სულ(კაცზე)	მათ შორის	
		ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
1959	1166	1197	1147
1970	1129	1139	1117
1979	1135	1156	1114
1989	1100	1135	1075
2002	1120	1178	1060

**წყარო:** საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტი, წელიწდეული, 2004 წ.

**ცხრილი №3**

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში  
(2001-2005 წწ.)**

	2001	2002	2003	2004	2005
სულ	71,5	71,5	71,9	71,4	73,1
მამაკაცი	68,0	67,9	69,1	67,8	69,3
ქალი	74,4	74,8	74,7	74,9	76,7

**წყარო:** საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი

გაზრდული ასაკის მოსახლეობის რიცხვი, რაც 20-29 წლის ასაკის ახალგაზრდობის სასწავლებლად ქალაქში წასვლით (15,1%), აგრეთვე, მიგრაციით (14,0%) აისახება. სოფელთან შედარებით, ქალაქის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში მაღალია აქტიურ შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (30-39, 40-49 წლები) ხვედრითი წილი (შესაბამისად 14,8 და 13,4 პროცენტი და 15,3 და 13,1%). როგორც ქალაქია, ისე სოფლიად, ძალიან მცირება მოსახლეობის რიცხოვნობა 50-60 წლების ასაკში, რაც განკორობებულია იმით, რომ ამ ასაკის მოსახლეობა ომისა და ომის შემდგომ წლებში დაბადებულთა თაობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანი სხვაობა შეინიშნება სიკვდილიანობის დონის მიხედვითაც. ქალაქიდ 60 წელზე მაღალი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს 16,4%-ს ხოლო სოფლიად -21,0%-ს, რაც მიგრაციასთან ერთად, საქალაქო დასახლებაში მოქვდაობის მაღალი დონის შედეგია. ამდენად, სოფლიად უფრო მეტი ხანგაზმული ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ქალაქიდ. მოსახლეობის საშუალო ასაკი სოფლიად შეადგენს 36,6 წელს, ხოლო ქალაქიდ - 35,7 წელს. მთლიანად კი კვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკი 36,1 წელია, მათ შორის, მამაკა

ცების -- 34,3, ხოლო ქალების – 37,8 წელს. მკვეთრად განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ეკონომიკური აქტივობისა და ასაკის მიხედვით. ქალაქიდ ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის 34,5 პროცენტი, რომელთა 78,5 პროცენტი დასაქმებულია, სოფლიად კი - 51,9 პროცენტია. შესაბამისად, მაღალია სოფლის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 95,3%). ამასთან, სოფლის მცხოვრებთა შორის დაბალია დაქირავებით მოუმავეთა რიცხვი. ეს განპირობებულია სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის პირი დამხმარე მეურნეობისა და გლეხური უერმერული (ოჯახური) მეურნეობის უპირატესად არასასაქონლო ხასიათით და შესაბამისი დასაქმების პროფილით. ასევე მკვეთრი განსხვავებაა სექსობრივი ნიშითაც.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის ფონზე საინტერესოა აგრეთვე გენდერული თანასწორობის ხტაგისტიკა. საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ტრადიცია, რომ ქალის ადგილი არის სახლში, სამზარეულოში. მაგრამ ეს აზრი თანდაობით შეიცვალა-ამჟამად ქალები აქტიურად არიან ჩაბმული მარკეტინგსა და მენეჯმენტში. თანაც მაღალ სა-

ფეხურზე. გამოკვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ძირითადად გადაწყვეტილია ქალებისა და მამაკაცების ფაქტობრივი თანასწორობის პრობლემა. ამ მხრივ ძირითად მიღწევათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებია ქალთა მაღალი განათლების დონე, რაც უზრუნველყოფილია მამაკაცთა გვერდით სწავლისა და მიღებული ცოდნის გამოყენებაში თანაბარი უფლებით. ამის შედეგია ის, რომ ქალები აქტიურად მოღვაწეობენ ქვეყნის საკანონ-

მდებლო, ადმსრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქალი პოლიტიკოსი, ქაონმდებელი, ეკონომისტი, ექიმი, მოსამართლე, მეცნიერი, შემოქმედი, მასწავლებელი, აღმზრდელი და დედა. ფაქტობრივად, თითქმის არ არ სებობს საქმიანობის სფერო, საღაც მამაკაცების გაერდით არ მოღვაწეობდეს ქალი.

#### ცხრილი №4

#### გენდერული თანასწორობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით

	ქალი	მამაკაცი
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა-წელი	74,8	68,0
ეკონომიკური აქტივობის დონე 15 წლისა და უფროს ასაკში (პროცენტებით)	47,6	61,9
დასაქმების დონე 15 წლისა და უფროს ასაკში (პროცენტებით)	86,4	89,9
უმუშევრობის დონე შრომისუნარიან ასაკში (პროცენტებით)	23,6	19,4
ეკონომიკაში დასაქმების დონით: სახელმწიფო სექტორში	74,5	79,4
<b>დაქირაფებულთა შორის დასაქმებულია:</b>		
სახელმწიფო მართვა და თავდაცვა	10,3	22,5
განათლება	32,6	7,2
ჯანმრთელობის დაცვა	15,8	3,1
კულტურა, სპორტი, დასვენება	7,8	5,5
<b>სხვა მომსახურება:</b>		
გაჭრობა, საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი	10,4	11,4
ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა	4,5	12,4
სხვა დარგები	18,6	37,9

**წერილი:** საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, სტატისტიკური კოექტული, 2004 წელი.

№4 ცხრილში მოტანილი მონაცემები, ქალთა და მამაკაცთა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით თანაფარდობა, ნათლად მიგვანიშნებს ჩვენს ქაფუნაში არსებულ გენდერულ თანასწორობაზე. ამრიგად, მოსახლეობა წარმოადგენს მეტად როგორ

და მრავალწახნაგოვან ეკონომიკურ კატეგორიას. რომელიც ყოველმხრივი შესწავლის ობიექტია, ვინაიდან მისი შესწავლის გარეშე შეუძლებელია მეურნეობის მართვა, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ორიენტირების სწორად განსაზღვრა.